

სიახლე

კოეფიციენტი ლამბდა (ჰაერი/საწვავი) არ უნდა აღემატებოდეს სატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის მიერ დადგენილ სიდიდეს, ამ ინფორმაციის უქონლობის შემთხვევაში კი $-1 \pm 0,03$ -ს;

დ) გამონაბოლქვის კონტროლის მიზნით ბენზინის ძრავებით აღჭურვილ სატრანსპორტო საშუალებებზე:

დ.ა) სადაც გამონაბოლქვი არ კონტროლდება თანამედროვე სისტემით, როგორცაა სამკომპონენტიანი კატალიზური კონვერტორი ლამბდა (λ) კონტროლით, ტარდება:

დ.ა.ა) გამონაბოლქვის გამოშვების სისტემის ვიზუალური კონტროლი გაჟონვის შესამოწმებლად;

დ.ა.ბ) გამონაბოლქვის კონტროლის სისტემის ვიზუალური კონტროლი იმის შესამოწმებლად, დამონტაჟებულია, თუ არა აუცილებელი მოწყობილობები;

დ.ა.გ) ნახშირჟანგის (CO) შემცველობის კონტროლი გამონაბოლქვ აირებში. ძრავას უქმი სვლის (დაუტვირთავი) რეჟიმის დროს CO-ს მაქსიმალური დასაშვები შემცველობა გამონაბოლქვ აირებში არ უნდა აღემატებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრულ დონეს ან, თუ აღნიშნული ინფორმაცია არ იქნება ხელმისაწვდომი:

– იმ სატრანსპორტო საშუალებისათვის, რომელიც რეგისტრირებულია ან გაშვებულია ექსპლუატაციაში 1987 წლამდე ან ჩათვლით – 4,5 %-ს;

– იმ სატრანსპორტო საშუალებისათვის, რომელიც რეგისტრირებულია ან გაშვებულია ექსპლუატაციაში 1987 წლის შემდეგ – 3.5 %-ს;

დ.ა.დ) გამონაბოლქვის სისტემის ვიზუალური ინსპექტირება გამონაბოლქვი აირების კვამლიანობის გაზომვის მიზნით;

დ.ბ) სადაც გამონაბოლქვი კონტროლდება თანამედროვე სისტემით, როგორცაა სამკომპონენტიანი კატალიზური კონვერტორი ლამბდა (λ) კონტროლით, ტარდება:

დ.ბ.ა) გამონაბოლქვის გამომყვანი სისტემის ვიზუალური კონტროლი, იმის შესამოწმებლად, რომ გაჟონვა არ ხდება და ყველა ნაწილი სრულადაა სახეზე;

დ.ბ.ბ) გამონაბოლქვის კონტროლის სისტემის ვიზუალური კონტროლი იმის შესამოწმებლად, რომ ყველა მოთხოვნილი მოწყობილობა დამონტაჟებულია.

დ.ბ.გ) სატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვის კონტროლის სისტემის ეფექტურობის განსაზღვრა გამონაბოლქვში ლამბდას სიდიდისა და CO-ის შემცველობის გაზომვით, რაც უნდა შეესაბამებოდეს მწარმოებლის მიერ დამტკიცებულ პროცედურებსა და შესაბამის ტიპზე მოთხოვნებს. ძრავას უქმი სვლის (დაუტვირთავი) რეჟიმის დროს გამონაბოლქვ აირებში CO-ის მაქსიმალური დასაშვები შემცველობა ძრავას უქმ სვლაზე არ უნდა აღემატებოდეს სატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის მიერ განსაზღვრულ დონეს ან, თუ აღნიშნული ინფორმაცია არ იქნება ხელმისაწვდომი:

დ.ბ.გ.ა) ძრავას უქმ სვლაზე – 0,5%-სა და ძრავას უქმ სვლაზე მაღალი ბრუნთა რიცხვით (არანაკლებ 2 000 ბრ/წთ) – 0.3%-ს;

დ.ბ.გ.ბ) კოეფიციენტი ლამბდა (ჰაერი/საწვავი) არ უნდა აღემატებოდეს სატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის მიერ დადგენილ სიდიდეს, ამ ინფორმაციის უქონლობის შემთხვევაში კი $-1 \pm 0,03$ -ს;

დ.ბ.დ) გამონაბოლქვის სისტემის ვიზუალური ინსპექტირება გამონაბოლქვი აირების კვამლიანობის გაზომვის მიზნით;